# საქართველოს საელჩომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გადასცა

საქართველოს საელჩომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გადასცა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიკბას ვიზიტთან დაკავშირებით.
როგორც თურქეთში საქართველოს ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ განაცხადა, ვიაჩესლავ ჩირიკბას თურქეთში ჩატარებული ყველა შეხვედრა ნოტაში დეტალურად არის ასახული.
“თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია შემდეგია: ჩირიკბას უარი ეთქვა ყველა ოფიციალურ შეხვედრაში, მათ შორის ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებაში. შესაბამისი განცხადება თავი შეიკავონ მსგავსი შეხვედრებისგან, რაც არ ასახავს ქვეყნის პოლიტიკას, სამინისტრომ თურქეთის სახელმწიფო უწყებებში დააგზავნა. თუმცა პრევენციის მიუხედავად, გარკვეული შედეგები მაინც შედგა, რომელთა შესახებაც მოხსენებულია ნოტაში.” – განაცხადა ირაკლი კოპლატაძემ. მისი თქმით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ოფიციალური ანკარა ერთხმად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მისი პოზიცია ამ საკითხში უცვლელი დარჩება.